ცნობის ფურცელი

№ 1882 სამშაბათი, 30 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1882

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჭის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. ჰალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—46)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—8 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკროსკოპიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინსკისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 271 (წლ.)

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღის გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილი სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაიევის სახლი.

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ექიმი

პ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ლექსები

განდეგილისა

ავტორის სურათით,

ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—5)

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—27)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები

ა. კ. გიგანეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—10)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. მარტო ის რომ ვიანგარიშოთ, რაც პარიზელ გაზეთებში დაწერილა კომბის ცირკულიარის წინააღმდეგ, მთელი ბიბლიოთეკა შესდგებოდა. რელიგიური ეკზალტაციისაგან ლიმონივით გაყვითლებულ ფრანსუა კოპპეს და კათოლიციზმის ყურ-მოჭრილი ყმას და ეკკლესიის ერთგულ შვილს ბრუნეტიერს,—ლემეტრზე ნუღარას ვიტყვით,—ორი ისეთი მომხრე გამოუჩნდათ, რომელთაც საზოგადო პატივისცემა აქვთ დამსახურებული და არა მარტო „კორნეტებისა“, როგორც პარიზელები უწოდებენ თეთრ-ქუდებიან მონაზვნებს. ეს ორი გამოჩენილნი პირნი არიან: რენე გობლე და გაბრიელ მონო. ერთი მათგანი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა, პირველ მინისტრად ნამყოფი, მეორე—ცნობილი ისტორიკოსია და, რასაც აქვე შევნიშნავთ, პროტესტანტი. ორივეს ავტორიტეტი საკმაოდ დიდია და მათ სიტყვასაც, რასაკვირველია, ფასი აქვს. ხოლო იმ საქმეში რომელშიაც ისინი თითქო მხარს აძლევდნენ რეაქციას და კლერიკალებს, მათ თვალთა ხედვის ისარს და სახელმწიფო ფილოსოფიას არაფერი საერთო არა აქვთ-რა კოპპეს და ბრუნეტიერის მოღვაწეობასთან. ეს ორი უკანასკნელი ვაჟბატონი, როგორც მესამეც—ბურჟე, ხელის-ხელ საგოგმანებელი საყვარლები არიან პარიზის არისტოკრატ კათოლიკე ქალებისა, რომელთაც ბოლოს დროს უსაქმურობის გამო ახალი სპორტი მოიგონეს: დაჩაგრულ „დების“ დაცვა.

აი რას ამბობს გობლე: „მე მეგობარი არა ვარ კონგრეგაციებისა. ვიცი, რომ მათ შორის ფატალურად გამეფებულია მტრობა ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისადმი, რომელიც დიდი რევოლიუციიდან მომდინარეობს; ვიცი, რომ აუცილებლად საჭიროა ამ მიმართულებასთან ბრძოლა. მაგრამ არა მგონია, სასარგებლო იყოს თვით კონგრეგაციების დახურვა. მე ვამბობ იმ მრავალ კონგრეგაციების შესახებ, რომელნიც დიდი ხანია დაარსებულან ჩვენ სახელმწიფოში და მგონია, ვერა მთავრობა ვერ შესძლებს ახლა მათ გაძევებას“.

შემდეგ გობლე ამბობს, რომ არც სასურველია კონგრეგაციების სრული დახურვაო. ჯერ ერთი, არიან ისეთი კონგრეგაციები, რომელნიც ქველ-მოქმედებას ემსახურებიან და დიდ სამსახურს გვიწევენო. უნდა აღვიაროთ, რომ არც სახელმწიფოს და არც დღევანდელ საზოგადოებას არა აქვს იმდენი შეძლება, რომ ეს ნაკლი შეავსოს, თუ კონგრეგაციები განიდევნებიანო. მეორეც ესა, როგორ და სად უნდა დავაბინაოთ დახურული სკოლების მოსწავლენიო, კითხულობს იგი. ამას გარდა, „მე მტკიცე მომხრე ვარ სწავლის თავისუფლებისა და თუ სახელმწიფოსაგან ვითხოვ, რაც შეიძლება ფართოდ გაუღოს თავის სასწავლებლის კარი ყველა ბავშვებს, იმავე დროს მას ვერ ვაკუთვნი იმ უფლებას, რომ მშობლებს დაუშალოს იქ მისცენ თავისი შვილები, სადაც მათ უფრო მოსწონთ, თუნდაც ეს სკოლები ბერებისა იყვნენ. ასეთი აზრი ჰქონდა 1886 წ. კანონს, რომელიც მე გამოვეცი, როდესაც განათლების მინისტრად ვიყავი“. მაგრამ რას ნიშნავს ეს სწავლის თავისუფლება, შეიძლება ჰკითხონ ბატონ გობლეს და იგი იძულებული შეიქნება აღიაროს, რომ ეს ნიშნავს არა თუ სასულიერო სწავლა-მეცნიერების საქმის გაძლიერებას, არამედ კლერიკალიზმის გაძლიერებას, ე. ი. რესპუბლიკის დამხობას. კარგია ფილოსოფიური ტეზისი „თავისუფლება სწავლისა“, ძალიან მომხიბლავია, როგორც ყოველი თავისუფლება, მაგრამ ის სისხლის ნიაღვარი, რომელიც საფრანგეთის ხალხმა დაჰღვარა დღევანდელი საზოგადოების დასაარსებლად, ნუ თუ იმიტომ დაიღვარა, რომ მოპოებულ თავისუფლებაზე ხელი აიღოს? ყოველი გულწრფელი აზრის დევნა უზნეობაა და ბოროტის მეტს ვერც არას მოიტანს, რადგან ძალა ვერ მოჰკლავს ცოცხალ იდეას და, მარტო ამ მხრივაც რომ შევხედოთ კითხვას, ბრძოლის ატეხა უნაყოფო და უაზრო გამოდის. მაგრამ კლერიკალიზმი ორსავე თვისებას მოკლებულია: მას აკლია სიწრფელე, იგი არის განხორციელებული ეგოიზმი. მისი თვისება და შინაარსი სივიწროვეა და ფლიდობა. მის წინააღმდეგ გალაშქრება პირველი მოვალეობაა დღევანდელის დემოკრატიისა, რადგან იგი გზაზე ეღობება მას და უშლის უფრო დიდ და მნიშვნელოვან საქმეს შეუდგეს. კლერიკალიზმის წინააღმდეგ „სასტიკი ღონისძიების“ მიღება არც პრაქტიკულის მხრივ დარჩება უნაყოფოდ: საჭიროა მხოლოდ მეტი სიმტკიცე. გობლეს სიტყვით, ეს კანონი არა სპობს კონგრეგაციებს და ვერ დასძლევს კლერიკალიზმს, რომლის ბუდეთ მათ სთვლიანო. საუკეთესო საშუალება კლერიკალიზმთან საბრძოლველად, გობლეს აზრით, სახელმწიფოსა და ეკკლესიის განშორებაა. რასაკვირველია, ეს მართალი აზრია და ახალი პალატა ეცდება ამის განხორციელებასაც. ხოლო ჯერ-ჯერობით უნდა ასრულდეს უკვე დამტკიცებული კანონი. კონგრეგაციები უნდა ემორჩილებოდნენ კანონს და არა კანონი მათ.

რაც შეეხება გაბრიელ მონოს წერილს, იგი უფრო უშინაარსოა და თვალთ-მაქცურად შედგენილი. ეს არის პროტესტი ვითომ და „ასსოციაციების თავისუფლების“ შეზღუდვის წინააღმდეგ; „მე მომხრე ვარ ასსოციაციების სრული თავისუფლებისო“—ამბობს მონო. მართალია, აქვე აცხადებს სახელმწიფოს და ეკკლესიის განცალკევების მომხრეობას და იმედი აქვს, რომ მაშინ თვით ეკკლესია გაუჩენს საზღვარს ასსოციაციების გამრავლებასო. მაგრამ ეს იმედი სრულიად უსაფუძვლოა. კლერიკალების წინააღმდეგ ბრძოლაში მონო ჰხედავს იმ გვარ მოვლენას, როდესაც კათოლიკები ებრძოდნენ პროტესტანტებს და სხვა-და-სხვა მწვალებლებს. მაგრამ ეს შეუწყნარებელი შეცდომაა ბატონ მონოს მხრივ, მით უმეტეს შეუწყნარებელი, რომ იგი ცნობილი ისტორიკოსია. მაშინ გაღვიძებული აზრი ებრძოდა დოგმას, სცდილობდა უფლება მოეპოვებინა, ხალხი სინათლისკენ და თავისუფლებისკენ მიისწრაფოდა, კათოლიკები-კი სდევნიდნენ ამ თავისუფალ აზრს და 1546 წ. ცეცხლზე დასწვეს ისეთი „ერეტიკოსი“, როგორიც იყო ეტიენ დოლე, რომლის ძეგლის წინ წარსულ 3 აგვისტოს (ახ. სტ.) თავი მოიყარა პარიზელ თავისუფალ მოაზრეებმა. დღეს კი დემოკრატია ებრძვის იმ კათოლიკებს, რომელნიც საფრანგეთში დოგმის და ყოველი რეაქციის წარმომადგენელნი არიან.

ინგლისი. შტეინს, რომელმაც ზავის პირობებს ხელი არ მოაწერა, შაბათს რომ სოუთჰამპტონში მოვიდა, მიეგებნენ ბურების დელეგატები ფიშერი, ვესსელსი და რამდენიმე მეგობარი. შტეინი ლოგინში იწვა, კაიუტაში, რომელიც გემის ბანზე იყო გამართული. შტეინს დიდი ავადმყოფის შეხედულობა ჰქონდა; სინათლისაგან დასაფარავად ლურჯი სათვალეები გაეკეთებინა. ფიშერის პირით პრეზიდენტმა შეატყობინა პრესსის წარმომადგენლებს, არ შემიძლია მიღება, რადგან ავადმყოფობის გამო ექიმებმა სასტიკად ამიკრძალეს ლაპარაკი, თუ არ უკიდურეს შემთხვევაშიო. მაგრამ თავის მოვალეობად სთვლის მადლობა გამოუცხადოს იმ კარგ მზრუნველობისათვის, რომელიც მას გემზე გაუწიეს. მოგზაურო-

ბის შემდეგ შტეინი თავს უკეთ ჰგრძნობს. ეს დაამოწმა თვით შტეინის მეუღლემაც, მაგრამ დასძინა, რომ მას ახლაც არ შეუძლია ადგომა, რადგან ხელ-ფეხი დადამბლავებული აქვსო. ჰოლლანდიელმა ექიმმა პუტმამ, რომელიც შტეინს სწამლობდა, განაცხადა, რომ იგი ნერვების დაუძლურებით არის ავადო; პრეზიდენტის ავადმყოფობა ძალიან ძნელი გამოსაცნობია და ასეთი შემთხვევა დღემდის სრულებით არ შემხვედრიაო. მეტად ცუდად თურმე იყო პრეზიდენტი კრიუგერსდორპში. რაც შეეხება იმას, რომ ავადმყოფი პირდაპირ ჰოლლანდიელ გემზე გადაჰყავთ, რომელიც შაბათსვე მოვიდა ჰოლანდიიდან, დოქტორმა პუტმამ განაცხადა, რომ ამით სრულიადაც არ ჰსურდათ ინგლისის ხალხის შეურაცხყოფა, როგორც გაზეთები ლაპარაკობდნენო: შტეინი მხოლოდ იმიტომ ვერ ჩამოხტება ინგლისში, რომ ლონდონის გზა მას მეტად შეაწუხებდაო. ლონდონის მატარებელში ყოველ შემთხვევისთვის ცალკე ვაგონ-სალონი იყო პრეზიდენტისთვის დამზადებული.

ამბობენ, შტეინი ნახავს კრიუგერს შვეიცარიაში, რომ მოილაპარაკონ სამხრეთ-აფრიკაში დამოუკიდებელ დასის შექმნის შესახებ.

ახალი ამბავი

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია ამ წელს შეუდგეს მუშაობას ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში **სახელმწიფო გლეხების უოფა-მდგომარეობის მოსაწყობად**. ტფილისის გუბერნიაში იმუშავებს ერთი დასი მ. ვ. მაჩაბელის ხელმძღვანელობით. ამ დასში იქნება ოთხი ტეხნიკოსი. მუშაობა ბორჩალოს მაზრაში დაიწყება. ერევნის გუბერნიაში ორი დასი იგზავნება. მუშაობა ორსავე გუბერნიაში ამავე წელს დასრულდება.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებას ბ-ნმა მაჭავარიანმა, გუბერნიის ექიმის თანაშემწემ, ვრცელი მოხსენება წარუდგინა **ცხინვალში ცეცხლისაგან დაზარალებულთა** მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს, გადამწვარა სულ 247 სახლი, აქედან 20 სახლი ქრისტიანისაა, დანარჩენი ებრაელისა. ცეცხლს გაუნადგურებია აგრეთვე ბაღები, ვენახები და მახლობელი ყანები. სახლებს გარდა ებრაელებს დასწვიათ თამასუქები, ბარათები, ნაყიდობისა, ადგილების დაგირავებისა და სხვა საბუთის ქაღალდები. უსახლკაროდ დარჩენილთათვის დამხმარებელი კომიტეტი შესდგომია კარვების გამართვას და დაზარალებულთა იქ მოთავსებას. ავადმყოფთათვის, თუ რამ სენი გაჩნდა, კომიტეტი განსაკუთრებულ სადგომს გამართავს თურმე. ამ ჟამად კომიტეტი იმასა სცდილობს, რაც შეიძლება მეტი შემოწირულება მოჰკრიბოს.

მთავრობამ ცხინვალის სანიტარულ მდგომარეობასაც მიაქცია ყურადღება. ადგილობრივ ადმინისტრაციას დაევალა იზრუნოს ეზოების გასუფთავებისათვის და თვალყური ადევნოს, რომ მცხოვრებთ სახლის კარების წინ ნაგავი არ დაჰყარონ ხოლმე.

◆ გვალვიან ზაფხულის გამო, როგორც გვატყობინებენ, **გაზეთში ვენახებს ძლიერ მოსდებია ნაცარი.** ძალიან დაზიანებულა თურმე არა მარტო გლეხთა და მებატონეთა—საუფლისწულო უწყების ვენახებიც კი. თუმცა მცხოვრებნი ფულს არა ჰზოგავენ და გულმოდგინედ სწამლობენ ვენახებს, მაგრამ კარგის მოსავლის იმედი მაინც არა აქვთ.

◆ საერო განათლების სამინისტრომ კავკასიის სამოსწავლო ოლქისაგან მოითხოვა ცნობები **ქალთა სწავლა-განათლების** საქმის შესახებ კავკასიაში: რამდენი სკოლაა ქალებისა კავკასიაში, რამდენი ქალი სწავლობს და სხვა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა პროექტი დებულებისა **სტიპენდიების შესახებ** ქალთა პირველ და მე-ორე გიმნაზიებში. სტიპენდიები დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზეა. სულ ამ გიმნაზიებში 10 სტიპენდია იქმნება. სხვათა შორის, გამგეობამ დაადგინა, რომ სტიპენდიების ფული თვით მშობლებს გადაეცეს ხოლმე.

◆ შავი ზღვის პირის **რკინის გზის** მიმართულება ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, მაგრამ, როგორც ინჟინერების გამოკვლევიდანა სჩანს, გზა გაივლის კავკავის რკინის გზის სადგურ ენემიდან ჯუბგუზე და შემდეგ ზღვის პირს გაჰყვება. ტუაპსის და ნოვოროსიისკის საზოგადოებანი იმედს არა ჰკარგავენ და სცდილობენ კიდეც, რომ გზის მიმართულება შეცვლილ იქმნას. ახლო მომავალში სოჭაში თათბირი ექნებათ ინჟინერებს, რომ საბოლოოდ გადასწყვიტონ გზის მიმართულება. ამ თათბირს დაესწრება ქალაქ ტუაპსეს წარმომადგენელიც, ბ-ნი კრივენკო (ცნობილი მწერალი). ამ გვარად ყველა სცდილობს, რომ გზა იქით გაიყვანონ, საითაც იმათთვის უფრო სასარგებლოა.

◆ ჟანდარმთა კორპუსის მთავარმა გამგეობამ მიწერილობა დაუგზავნა რკინის გზების ჟანდარმთა სამმართველოებს **სადგურებზე და რკინის გზის სხვა ადგილებში საქველ-მოქმედო წარმოდგენების გამართვის შესახებ.** თუ ამ ადგილებში საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენის გამართვა მოინდომა ვინმემ, ნება რთვა უნდა აიღოს გუბერნატორისაგან. წარმოდგენის შემოსავალი უნდა გადაეცეს გუბერნატორის მიერ დანიშნულ კაცს. ამ დღეებში ეს მოწერილობა ეცნობა სამაზრო დაწესებულებებს.

◆ **ქალთა გადამდებ სენის საავადმყოფოში**, წესდების ძალით, მხოლოდ ქალაქელებს იღებენ. გარეშეებს არ შეუძლიანთ ამ საავადმყოფოში შესვლა სასყიდლითაც კი. რადგანაც ამ გვარი საავადმყოფო ტფილისში სხვა არ არის, საგუბერნიო ადმინისტრაციამ ლაპარაკი აღძრა, რომ ხსენებულ საავადმყოფოში სასყიდლით ყველანი მიიღონ ხოლმე.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** გამგეობა შეუდგა მომავალ წლის ხარჯის აღრიცხვას. გამგეობა დღევანდელ თავის სადგომის გასაფართოვებლად ფულსა თხოულობს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზე განიხილა კომისიის მოხსენება გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოების შენობების **შეკეთების** შესახებ. ამ საქმისათვის საჭიროა სულ 959 მან., მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით კი გადადებულია 530 მან. გამგეობამ გადასწყვიტა გადასდოს 959 მ. ისე კი, რომ 429 მან. სამკურნალოების ფულიდან დაიხარჯოს.

◆ 28 ივლისს, დილომის სამრევლო-საეკლესიო სკოლის სასარგებლოთ სცენის მოყვარეთ **წარმოადგინეს დილომში** კომედია „ბაიყუში“ და ვოდევილი „ოინბაზი“. ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ შემოსავალი ცოტა იყო თურმე, სადგომის სიმცირისა გამო.

◆ სასანიტარო კომისიამ 28 ივლისს დაათვალიერა სალდათის ბაზარი, სადაც **დიდ მალი უვარგისი ხილი აღმოჩნდა.**

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ივანოვსკი ვარშავში წავიდა, საიდანაც დღეს დაბრუნდება.

◆ სად. გარგარინოდან გვატყობინებენ: დიდის წვიმების წყალობით მოვარდნილმა ნიაღვარმა ლიანდაგი გაათუხა, ამის გამო დაიგვიანა სახალხო მატარებელმა №-4 და ტფილისში 12 ს. 32 წუთის ნაცვლად ორის ნახევარზე ჩამოვიდა.

◆ რწმუნებულმა იმ მოიჯარადრისა, რომელსაც ტფილისში მაწანწალა ძაღლების ჭერა აქვს იჯარით აღებული, შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იგი ძაღლების ჭერას შეუდგება მომავალ აგვისტოს 1-დან 15-მდამდე ამ რიგად: პოლიციის მე-10 ნაწილში 1,2 და 3 აგვისტოს, მე-9 ნაწილში 5 და 7, 1 ნაწილში-8 და 9, მე-2 ნაწილში—10 და 12 და მე-3 ნაწილში 13 და 14 აგვისტოს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა, რომელიც 29 ივლისს უნდა მომხდარიყო, რაღაც მიზეზის გამო აღარ შესდგება.

◆ ქალაქის გამგეობამ წერილებით აცნობა უძრავ მამულების დამფასებელ კომისიის ჯგუფების თავმჯდომარეთ, მამულების დაფასება ახალ განკარგულებამდის შეაჩერეთო.

◆ მხოლოდ ეხლა დაგვიდგა ივლისის სიცხეები. თუ ისევ წვიმამ არ შეგვიბრალა, თქვენი მტერია, ჩვენ მტერში დავიხრჩვებით.

◆ ქუთათურ მეფურნეების კადნიერებას, როგორც ეტყობა, ბოლო აღარა აქვს: ამ ჟამად ისეთ პურს აცხობენ, რომ ყოვლად შეუძლებელია კაცმა ის პური მოინელოს: ჯერ ერთი რიგიანად მოზელილი არ არის, მერე სრულიად გამოუმცხვარია. ეს ყველა მეფურნეებზე არ ითქმის, მაგრამ მომეტებული ნაწილი კი სწორედ ამისთანა პურს აცხობს. ამას უფრო სჩადიან განაპირა უბნების მეფურნეები, სადაც ქალაქის ექიმი იშვიათად მოჰხვდება ხოლმე სარევიზიოდ. დათვალიერება-ყურის გდება ამისთანა მივარდნილ ადგილებს უფრო უნდა, შუაგულ ქალაქში კი შეიძლება, ვერ გაჰბედონ უვარგისი პურის გამოცხობა. პურის მცხობი ამხანაგობა „იმედი“ ჯერ ხანად ცოტა იმედს იძლევა, რადგან მისმა გამგეობამ დღემდინ ვერ გააფართოვა თავისი მოქმედება, ვერ გახსნა სხვა-და სხვა უბანში განყოფილებები და ვერ მოახერხა სახლებში პური დაუტაროს მყიდველებს; იქ მისვლა და პურის ყიდვა ბევრს არ ეხერხება. საჭიროა, „იმედი“-ს გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ საჭიროებას და მადლიერ მყიდველთა რიცხვი გაიმრავლოს.

◆ 25 ივლისს დამთავრდა აქ ჩამოსულ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა საზაფხულო საპედაგოგიო კურსები და გამოცდა. 26-ს ივლისს წავიდნენ ბათუმს, იქიდან ჩაქვაში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად და შემდეგ წავლენ ტფილისს. ამათი მოგზაურობის საგანი „ცნ. ფურცელ“-ში უკვე დაბეჭდილი იყო.

◆ 24 ივლისს, დილით აქ ჩამოვიდნენ ტფილისის პირველი, მეორე და მესამე გიმნაზიის და აგრეთვე რეალურ სასწავლებლის უმცროს კლასების მოწაფეები მასწავლებლებითურთ. იმ დილითვე ტყიბულისკენ წავიდნენ, სადაც ქვა-ნახშირის მადნების დათვალიერების შემდეგ, გელათში წავიდნენ მონასტრისა და მის სიძველეთა და სამკაულთა დასათვალიერებლად. დაათვალიერეს აქ ყველაფერი, დავით აღმაშენებლის საფლავიც, მონასტრის ბიბლიოთეკები და სხვა. შემდეგ ამისა პატარა ტურისტები ფეხით მოწამეთის მონასტერში ჩამოვიდნენ, აქაც ყველაფერი ინახულეს და საღამოს მატარებლით ქუთაისს დაბრუნდნენ. ქუთაისში დაათვალიერეს არქიელის გორაზე ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და 25 ივლისს ღამის მატარებლით ტფილისისაკენ დაბრუნდნენ.

◆ ქუთაისის საოლქო სასამართლოს უკვე მოუვიდა სამინისტროსაგან შესვებული შტატი: ახლად შემოღებული იქმნება ორი მომრიგებელი-მოსამართლე დაბა სამტრედიასა და ჭიათურაში. როგორც გადმოგვცეს, რაჭის მაზრის დ. ონის მოსამართლის თანაშემწე ს. ზ.—ძე კანდელაკი სამტრედიის მომრიგებელ-მოსამართლედ დაინიშნება.

◆ 25 აგვისტოს ქუთაისის საოლქო სასამართლოში საჯარო ვაჭრობით უნდა გაიყიდოს ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების მადნები სახელმწიფო ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად. ამ ერთი წლის წინად ამ მადნების ნაწილი იმავე ბანკის ვალში იყიდებოდა, მაგრამ მყიდველი არ იყო და ისევ ბანკს დარჩა. წელსაც მეორე ნაწილი იყიდება.

პრესსა

მკითხველს ახსოვს, ალბად, რომ ჩვენის გაზეთის დამატებაში (№ 50) დაიბეჭდა პატარა ამბავი „უტუ ხუნცურავა“. ამბავში კარგად არის დასურათებული ჩვენი ზნეობრივი დაცემა, სიბრიყვე და სიგლახაკე, მოკლებული ყოველგვარს თავმოყვარეობას. ერთი არა-ქართველი მოხელე ყოველნაირის უშვერის სიტყვებით ლანძღავს და ამცირებს მეგრელ ვაჭარს, ძალასაც კი ხმარობს მის წინაამდეგ, ცოლსაც კი გაულანძღავს. ჩვენი მეგრელი ითმენს ყველაფერს, ხმას არ იღებს, ვიდრე მოხელე ყოველს საზღვარს არ გადავა, არ წაართმევს ქუდს და შუაზე არ გადაუჭრის.

ბ. დუტუ მეგრელს ვერ გაუგია, საუბედუროდ, ამ ამბავის შინაარსი, ამდგარა და მეგრელების ვექილობა უკისრნია (იხ. 155), ბრალსა სდებს ავტორს, ვითომც მას მეგრელების დამცირება უნდოდა: რომ მეგრელები გარდა მატერიალურის ინტერესისა არაფერს აფასებენ.

საკვირველია ზოგიერთის ადამიანის საქმე: უნდა უთუოდ თავისი გაუგებრობა სხვისის უსინიდისობით ახსნას, უნდა უთუოდ გამონახოს სხვის გულში რამე ცუდი განზრახვა და ფიქრი. აბა რა მოსატანი იყო, რომ ვითომც ავტორს ან გაზეთს უნდოდა საზოგადოთ მეგრელების დამცირება. თუ გნებავთ, აქ საზოგადოთ ქართველების დამცირებაა, მაგრამ არა გაზეთის მხრივ, სადაც ეს ამბავი დაიბეჭდა. ნუ თუ ბ. დ. მეგრელმა არ იცის, რომ არც ავტორი და არც გაზეთი არ არის პასუხის მგებელი ბელეტრისტულის ნაწარმოების რომელისამე მომქმედი პირის სიტყვებისა და მოქმედებისათვის?!.

ბ. დუტუ მეგრელი შემდეგის მარგალიტებით ათავებს თავის შენიშვნას: „საკვირველია, როგორ დასტამბა იგი („უტუ ხუნცურავა“) პატივცემულმა „ცნ. ფურც.“, რომელიც ამ ბოლო დროს თვით სომხებსაც კი ესარჩლება ხოლმე, როცა მათ, არამც თუ უსამართლოდ, თვით სამართლიანადაც კი უკიჟინებენ მათს ნაკლულევანებას“!

ასე იციან ჩვენში აზრის შედგენა იმათაც კი, ვისაც მწერლის სახელი აქვთ. ლამის სამასხარო ასპარეზად გადაიქცეს გაზეთი. ვინმე შეთხზავს აზრს და შეხედულებას და მოგაწერთ თქვენ. ერთს წუთსაც-კი არ დაფიქრდება, თუ როგორს უსამართლობას ჩადის ამით: თქვენ ეს და ეს სისულელე თქვითო, თქვენ მოგკრთამესო, თქვენი აზრები გაყიდეთო. ერთი ვკითხოთ ბ. დუტუ მეგრელს: გაიგო ჩვენი აზრი სომხების შესახებ? თუ არ მოსწონს ჩვენი შეხედულება, რომელიც არ ეთანხმება ზოგიერთების გულუბრყვილო რეცეპტებს?

ჩვენ ვგმობთ უსამართლობას და დაჩაგვრას ქართველების მხრივ იქნება იგი თუ სომხების; ჩვენ გვინდა ერთობა სამართლიანი და თანასწორ-უფლებიანი. ეს აშკარად იყო გამოთქმული ჩვენის გაზეთის ფურცლებზე და თუ ბ. დ. მეგრელმა წაკითხვა არ იცის, ჩვენ ნუ გვდებს ბრალს, იქონიოს ცოტაოდენი პატივისცემა სხვის ღირსებისადმი!

⁂

ამ დღეებში გამოიცა ახალი კანონი „სათავად-აზნაურო დაწესებულებათა გაუმჯობესების შესახებ“. ახალის კანონის მიზანია: „განამტკიცოს ერთობა თავად-აზნაურთ დაწესებულებათა შორის და გაუადვილოს თავად-აზნაურთა საზოგადოებათ თავიანთ საქმეების აღსრულება“. ამ მიზნის მისაღწევად კანონმდებელს ახალი კანონები საჭიროდ არ უცვნია, რადგან ახალს დებულებაში ბევრი წვრილმანი განმარტება და წესია, მაგრამ საყურადღებო, პრინციპიალური რამ, ახალი არა არის-რა. კანონმდებელს კანონად უღიარებია მხოლოდ ის, რაც პრაქტიკამ კარგა ხანია შეიმუშავა... გაზეთ „რუსსკ. ვედომ.“-ში ვპოულობთ კარგს განხილვას ახალის კანონისას. აღვნიშნავთ იქიდან უფრო საყურადღებო მუხლებს:

> უმთავრესი ნაწილი ახალის კანონისა შეიცავს წინამძღოლთა, დეპუტატთა და საკრებულოს უფლება-უპირატესობათა განხილვას. ამ საკრებულოს მიენიჭა „თავად-აზნაურთა დაწესებულების“ მნიშვნელობა, ესე იგი, ეს საკრებულო შეიქმნა, მუდმივ წოდებრივ დაწესებულებად. ეს მუხლი მართლა მნიშვნელოვანია, მაგრამ, უნდა ვთქვათ, ცხოვრებაში ეს კანონი ახალი არ იქნება. კანონით, ამ საკრებულოთა საქმე იყო მხოლოდ თავად-აზნაურთა კრებების მომზადება; შემდეგში საკრებულოთ მიენდო აპეკისა და სხვა წვრილმან საქმეთა წარმოება. ნამდვილად-კი თითქმის ყველა გუბერნიებში წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო გადაიქცა მუდმივ ორგანოდ, რომელსაც სხვა და სხვა საქმეთა გარდა დაევალა თავად-აზნაურთა ხაზინისა და უძრავ ქონებათა მართვა-გამგეობა. მეორეს მხრით ამ საკრებულოთ წინდაწინვე უნდა განეხილათ ის საქმეები, რომელნიც მომზადებულნი იყვნენ სათავად-აზნაურო კრებისათვის წარსადგენად. 10 ივნისს ახლად დამტკიცებული კანონი სავალდებულოდ სცნობს ამ პრაქტიკას და ცოტა არ იყოს ნაბიჯსაც ადგამს წინ იმით, რომ საკრებულოთ ხელთ აძლევს დისციპლინურს ძალას გუბერნიის თავად-აზნაურებზე.

შემდეგ გაზეთი იხილავს ახალ კანონის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, თუ სვქმეებმა მოითხოვა, მაზრის მარშლებს თანაშემწეები დაენიშნება, რომელნიც სახელმწიფო სამსახურის უპირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესობით იქნებიან აღჭურვილნი. აღნიშნავს აგრეთვე, რომ კანონი თხოულობს წინდაწინვე გამოცხადდეს სია იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კრებებში; რომ მამულების ყიდვის დროს, საქველ-მოქმედო მიზნით, თავად-აზნაურობას არ გადახდება მამულების დამტკიცების გადასახადი; რომ უმემკვიდროთ დარჩენილი მამული თავადისა ან აზნაურისა თავად-აზნაურების საკუთრებას შეადგენს და სხვ..

ბოლოს გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი კანონი ისევ იმეორებს, რომ თავად-აზნაურობას ნება აქვს სხვა-და სხვა შუამდგომლობანი აღძრას პირდაპირ ხელმწიფის წინაშე.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ახალი რამ საყურადღებო ახალს კანონში, თავად-აზნაურთა დაწესებულების შესახებ, არა არისრა და არც შეიძლება იყოს, რადგან ჩვენს დროში სოციალურ პირობათა მიხედვით აღარ შეიძლება ვიწრო წოდებრივ დაწესებულების შექმნა.

ჩვენ მოღვაწეთა მიმართ

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამშობლო საზოგადოების ისტორიაში ძვირად შეგვხვდება იმგვარი პირები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენდეს იმოდენ ისტორიულ ინტერესს, როგორსაც თავად ილია ჭავჭავაძის პიროვნება წარმოადგენს. ეს ინტერესი ისტორიულია, რადგანაც მისი კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება გვიხსნის მის ეპოქის ცხოვრების ბევრ მხარეებს და საკმაოდ გვიხატავს სურათს, რომელიც უიმისოდ სრული არ იქნებოდა. თავისს სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის პირველ დღიდანვე თ. ილია ჭავჭავაძე სულითა და გულით ემსახურებოდა სამშობლო საზოგადოების ინტერესების დაცვას. მას ერთ წუთსაც არ დაუკარგავს რწმენა სამშობლო საზოგადოების კეთილ მომავლისა და ამ მომავლისათვის სამოღვაწეო ასპარეზი არასოდეს არ დაუტოვებია. ჩვენი საზოგადოების ისტორიაში თ. ილია ჭავჭავაძე ერთი უფრო ძნელი გასაგები პიროვნებათაგანია, რომლის მიმართულებისა და აზრების სისტემატიური გამორკვევა ადვილი არ არის. ამ პიროვნების ისტორიულად შეგნებისა და დაფასებისათვის საჭირო ვიცოდეთ ჩვენი საზოგადოების ნახევარი საუკუნის ისტორია-ცხოვრება, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი პროცესის შემადგენელი ელემენტები; საჭიროა აგრეთვე ნათლად წარმოვიდგინოთ გარეშე პირობები, რომელთა შორის ის მოქმედებდა და მოქმედებს.

თ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო მოქმედება ეგრედ წოდებულ გადამავალ ხანებში. ის იდგა ორ იდეათა საზღვარზე: ერთი მათგანი, უკვე სიცოცხლე მოჭმული, მაგრამ კიდევ ღონიერი, არსებობისთვის ბრძოლას უწევდა მეორეს, ახალ დაბადებულს. ძველი იდეები და შეხედულებანი ემხობოდენ ახალ იდეათა და შეხედულებათა ზედ გავლენით. ბატონ-ყმობა ადგილს უთმობდა თავისუფალ შრომას... და თ. ჭავჭავაძემაც პირველმა გაუწოდა ხელი ახალ ტენდენციებს იმ ენერგიითა და სიცოცხლით, რომელიც ბუნებამ მას, მიანიჭა.

45 წელია, რაც თ. ილია ჭავჭავაძე სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა და მოქმედებს. 45 წელი—მთელი ეპოქაა. ამ დროს განმავლობაში მას არა ერთი ბელეტრისტული და პუბლიცისტიური ნაწარმოები მოუძღვნია ჩვენთვის და ისინი უეჭველად ერთს უპირველეს ადგილს დაიკავებენ ამ ხანის საისტორიო მასალათა შორის. ამ ნაწარმოებში არა მარტო ეპოქის დახასიათებას ვპოულობთ. აქ ნათლად სჩანს ავტორი, როგორიც ის იყო და არის. ეს პიროვნება დიდია მიუხედავათ იმისა, რომ ხშირად ბელეტრისტი-მოღვაწე სრულიად ეწინააღმდეგება პუბლიცისტს-მოღვაწეს. დღემდის ჩვენს ისტორიაში არ მიუნიჭებიათ მისთვის ეს სახელი და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ არ ვიცნობთ დაწვრილებით მისის მოღვაწეობის სფერას. ჩვენი ცნობები თ. ილია ჭავჭავაძის შესახებ ძლიერ ღარიბია; დღემდის მისი მოღვაწეობა და მოქმედება შესაფერად არ არის გათვალისწინებული; დღემდის არც მისი ვრცელი ბიოგრაფია ვიცით. რამდენიმე შენიშვნები, რაც ქართულ ენაზე მოიპოვება, ნათელს ვერ ჰფენს ამ პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობასა და მის დროს. დღემდის ჩვენს ლიტერატურაში ამ ეპოქის ნამდვილ ისტორიულ დაფასებას და სამართლიან ახსნას ვერა ვპოულობთ. ამ დროის და პიროვნების მოღვაწეობის გათვალისწინება და ახსნა-კი მეტად საჭიროა. მოვალე ვართ ეგრედ წოდებულის „ძველი თაობის“ იდეალების და მისწრაფებების შესახებ გამორკვეული წარმოდგენა გვქონდეს. მარტო საზოგადო ფრაზებით ვერ ვკმაყოფილდებით და ჩვენს ლიტერატურაში-კი უფრო მათ ვხვდებით, ვიდრე სერიოზულ გამორკვევებს.

ეს კიდევ ცოტაა. რადგანაც ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ვერ იცნობს ამ კაცს, ამიტომ ღირსეულადაც ვერ აფასებს მას. ვიცით-კი, რომ ღირსია დაფასებისა და პატივისცემისა, ხოლო რამდენად და რა გვარ—ეს არა გვაქვს გამორკვეული. ერთის მხრით, დღევანდელს ჩვენს პირობებში შეუძლებელიც არის სასიქადულო მამულისშვილი თუნდაც მცირეოდენად აამო და მხცოვანს მოღვაწეს მამულიშვილური მადლობა გადაუხადო იმ ღვაწლისათვის, რაც 45 წლის განმავლობაში გაუწევია... და ეს რომ ასეა,—ამას მრავალ-სიტყვაობა არა სჭირია, ვინც მოიგონებს ჩვენის საზოგადოების სამზადისს ამ 4—5 წლის წინად თ. ჭავჭავაძის 40 წლის მოღვაწეობის სადღესასწაულოდ. ჩვენი საზოგადოება მოვალეა თ. ი. ჭავჭავაძის 45 წლის მოღვაწეობა-შრომა შესაფერად იდღესასწაულოს: უნდა შეერთდეს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი და სალიტერატურო ძალები მიუხედავად იმ ჯგუფისა, რომელსაც თვითეული მათგანი ეკუთვნის. ძალთა ამგვარი შეერთება ჩვენ არ გვინდა გამოიხატოს ქეიფ-დროს გატარებით და სადილ-ვახშმებით; ჩვენი სურვილია სულ კნინი ძღვენი მივუძღვნათ მხცოვან მოღვაწეს და ეს ძღვენი იქნება ჩვენთა მწერალთა ნაწარმოების პატარა კრებული. ამ კრებულში მოთავსდება წერილები და სტატიები ბელეტრისტიული, მეცნიერული და სხ. ეჭვი არ არის, ყველა ეს წერილები და სტატიები ერთად ჩვენი საზოგადოების მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცხოვრებას ასე თუ ისე დაასურათებს.

აი ამიტომ მივმართავთ თხოვნით ქართველ მწერლებს და ყველა მათ, ვისაც კი რამე დამოკიდულება აქვს ჩვენს ცხოვრებასთან და მწერლობასთან, ხელი გამოგვიწოდონ ამ აზრის განსახორციელებლად. დარწმუნებული ვართ, თუ კი ეს იდეა მოსაწონია, თუ კი მისი განხორციელება სასურველია, ქართველი მწერლები სიამოვნებით მიეგებებიან ამ მოწოდებას, არ დაიშურებენ და მოგვაწვდენენ კრებულისათვის თვის ნაწარმოებს.

პროფ. ალ. ხახანაშვილი დიდის სიამოვნებით მიეგება ამ აზრს და კრებულის საზოგადო რედაქცია მან იტვირთა. რედაქციის, ამ სამძიმო შრომის გარდა, ბ. ალ. ხახანაშვილმა სურვილი გამოაცხადა ჩვენის ცხოვრების ამ საინტერესო ხანას ვრცელი სტატია უძღვნას. კრებულის გამოცემას ჩვენ ვკისრულობთ. ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ ამ კრებულისაგან შემოსული ფული საფუძვლად დაედება რაიმე ჩვენებურ საქმეს, რასაც თ. ილია ჭავჭავაძის სახელი უნდა ეწოდოს.

დასასრულ ვიმედოვნებთ, რომ ყველა ისინი, რომელნიც მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას, დროზე გვაცნობებენ და მოგვაწვდენენ თავიანთ ნაწარმოებს. ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ ყველა ჩვენი გაზეთები გადასტამბავენ ამ წერილს.

ალექსანდრე მდივანი

წერილი თელავიდან

თელავის მამასახლისისა და მეპურეების ბრძოლა

ჩვენი თვით-მმართველობა ერთის თვით ადრე ადგენს ნიხრს და მხედველობაშიაც იმ დროის გარემოებებს იღებს ხოლმე. ამით აიხსნება ის უთანხმოება, რომელიც თელავის მამასახლისსა და პურის მცხობთა შორის ჩამოვარდა. საქმე აი, როგორ იყო. ამ ერთის თვის წინად ე. ი. როდესაც ახლად ქერები გაიჭრა, ხმა გავრცელდა, რომ წელს კარგი მოსავალი იქმნება და პურის ფასი ყველგან დაიწევსო. ამ აზრისანი იყვნენ ყველანი, სხვათა შორის, თელავის მამებიც, ფქვილის გაჭარნიც და მეპურე რაჭველნიც. იმ ხანებში ქირაც დაიკლდა. „მამებმა“ აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ პურის ნიხრი უნდა შევამციროთო. ასეც მოიქცნენ და ნიხრი, ვისთვისაც ჯერ იყო, დასამტკიცებლად აფრინეს. ნიხრი, როგორც ყოველთვის, ფრენას ერთი თვე მოუნდა და მოფრინდა დამტკიცებული. მაგრამ ამ დროს განმავლობაში არც პურის ფასმა დაიწია და ქირაც დაძვირდა, რადგანაც ერთის მხრივ სოფელმა პური არ მოიტანა გასასყიდად (აქ ძნის ფოთმოქცეულები იდგა ჯერა) და მეორეს მხრივ მეფურგუნეთა უმრავლესობამ თიბვასა და მკას მიაშურა. ეს ხომ მუდამ ასეა; მაგრამ დამტკიცებულ ნიხრს, როგორც მოგეხსენებათ, ასრულება უნდა!

როდესაც მამასახლისმა ახალი ნიხრი გამოაქვეყნა, მეპურეებმა უარი გამოაცხადეს პურის გამოცხობაზე, თანაც ითხოვეს, ფქვილის ვაჭრებმა იმის ნახევარი მაინც დაგვიკლონ ფუთ ფქვილზე, რაც თქვენ დაგვიკელითო და, ბატონი ხართ, გამოვაცხობთო. ერთმა სიღნაღელმა მეფქვილემ ტომარაზე აბაზი დაუკლო, ე. ი. ფუთზე 4 კაპ., მეორეს თავის მრევლს მეპურეებისთვის, როგორც ამბობენ, გამოუცხადებია, თუ ნიხრზე გაჰყიდით პურს, ფქვილს ფასს მოუმატებ; ერთი ორი დღე პურს ნუ გამოაცხობ და ნიხრს ისევ მოგიმატებენო.

აქნობამდის მეპურეები ფქვილის ფასის კვალობაზე ჰყიდდნენ პურს. დაბალი ხარისხის ფქვილს 1 მ. 20 კ. უღულობდნენ შუათანა ხარისხისას—1მ. 40კ. ოთხ ფქვილს 1-60 გამომცხვარ პურსაც ამ ფასებში ჰყიდდნენ. რასაც ფქვილი გამოცხობაში მატულობდა, ის მათის ხარჯის დასაფარავად და შრომის ფასად ითვლებოდა. მომეტებულად იყიდებოდა და იყიდება პირველის ორის ხარისხის პური. მეფქვილეებმ, ფქვილს მაგდენი არა დააკლეს რა, ხოლო ნიხრმა ფუთზე თითო აბაზი მოიკლო. მეპურეებს უანგარიშნიათ და აღმოჩნდა, რომ თუ ნიხრზე ჰყიდეს პური, მუქთა მუშები იქმნებიან. მეპურეებმა ყველა ამის შემდეგ, მოიღეს რა მხედველობაში ზემოხსენებულ მეფქვილის მუქარა, დაღონებულ-დაძმარებულთ დუქნებს დარაბები აუყარეს.

18 ივლისს, საღამოს 10 საათზედ, მამასახლისმა გამოუცხადა შეკრებილ მეპურეებს: თუ ნიხრს არ შეასრულებთ, ხვალიდანვე ხელწერილი მომეცით, რომ უარს ამბობთ პურის ცხობაზედ; უამისოდ ვერც ერთი აქედამ ვერ წახვალთო. რაჭველებს უქქნიათ თავი, უფხანიათ კისერი და ბევრის ყოყმანის შემდეგ ხელწერილზე თანხმობა გამოუცხადებიათ. 19 ივლისს, დილის 6 საათზედ, გავარდა ხმა, რომ ომი გამოცხადებულია და მამასახლისი მეპურეებზედ სალაშქროდ ემზადებაო. გამოვიდა ხალხი სეირის საყურებლად და მეც შესაფერი ადგილი დავიჭირე. შვიდის ოცი წამი იქმნებოდა, როდესაც ერთის მეპურის დუქანს მიადგა გულზედ ჯაჭვ-ჩამოკიდებული მამასახლისის ბიძაშვილი თათუზოვი, თან უკან იხედებოდა, ვიღაცას უხმობდა, ჩქარაო. მერე დუქნის დარაბი ჩამოაგდო ამ დროს გამოჩნდნენ კურტნიანი მუშა და ქალაქის ერთი გზირი. მალე სხვა დარაბებიც ჩამოიღო, შევიდა დუქანში, გამოაგორა იქიდან ფქვილის ტომარა და უბრძანა მუშას, წაიღეო. მუშამ ცოტა ყოყმანის შემდეგ თათუზოვისა და გზირის შემწეობით აიკიდა ფქვილის ტომარა და გასწია.

ამის შემდეგ ბ-ნი თათუზოვი წავიდა მამასახლისთან, რომელსაც ყოველივე მოახსენა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ მობრძანდა თვით მამასახლისი, ეტყობა, ახლო ყოფილიყო. თან ეახლა ქალაქის ბოქაული, რამდენიმე შეიარაღებული გზირი, ორი მუშა და ცხენის ორი ურმი, რომელზედაც არც სამხედრო სურსათი შეგვიმჩნევია და არც ტყვია-წამალი. ბ-ნმა თელავის მამასახლისმა, ჯოხზედ დაყრდნობილმა და დუქნის შორი ახლო მდგომმა, ბრძანება გასცა, გამოიტანეთ, რაც ფქვილი იყო დუქანში. გამოიტანეს 13 ტომარა, დაუდეს ურმებზედ და გაისტუმრეს. ასევე მოექცნენ სხვა მეპურეებსაც.

18 და 19 ივლისს უპუროდ შეწუხებული თელაველნი არ ემადლიერებოდნენ თავიანთ მამებს ნიხრისათვის.

20 ივლისს, თვით მამასახლისმა დააწყებინა ორგან პურის ცხობა, მაგრამ თონეს ნახევრად ცომსა ჰხდიდნენ.

ხმა გავრცელდა, რომ მეპურეებს მთავარ-მართებლის ცირკულიარის თანახმად, ერთის თვით დააპატიმრებენო. ამ ხმამ, თუ სხვა რამემ, არ ვიცით, მეპურეებს თავი მოახრევინა. თხოვნა მიართვეს მამასახლისს—ჩვენი ხელ-წერილები დაგვიბრუნეთ, საქმეს შევუდგებით და ნიხრზე გავყიდით პურსაო. მამასახლისმა არ შეიწყნარა თხოვნა.

20 და 21 ივლისს მამასახლისის განკარგულებით აცხობდნენ პურს და თელავი ნახევრად ცომით საზრდოობდა. 22-ს რაჭველებს მიეცათ ნება პურის ცხობისა. ნების მიცემის პირობებზე ისევე სხვა-და-სხვა ნაირად ლაპარაკობენ, როგორც ბურებისა და ინგლისელების ომზე. ბევრ სხვა რამესაც უმატებს ავი ენა. მე კი ერთი რამ მაფიქრებს და მადარდებს: ვაი-თუ, მართლა, ამ საცოდავ რაჭველების მუქთი შრომით ვსარგებლობთ!..

ნადიკვრელი.

ქუთაისის განაპირა ადგილები

ძნელი წარმოსადგენია, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ქუთაისის განაპირა ადგილების მცხოვრებნი. რაც ცენტრს მოსწყინდება, რაც მისი მყუდროების დამარღვეველია, ქალაქი ყველაფერს მათ უგდებს, თითქო იქ მცხოვრებთ ძლიერ სწყინდეთ კეთილი და მყუდრო ცხოვრება. სარისკიპო, სამიკიტნო, გადამდებ სენით შეპყრობილთა საავადმყოფო, შეშლილების სადგომი სახლი, რომელთაც თან ახლავთ მთვრალთა ღრიალი, არდნის ჭრიალი, დაფა-ზურნის ბრაგა-ბრუგი, რევოლვერის ბათქა-ბუთქი, ხმალ-ხანჯლების ტრიალი, ჩხა-ჩუხი და მომაკვდავთა შემაძრწუნებელი ხრიტინი, ათასგვარი ავადმყოფობა და სხ.,—აი ის დაწესებულებანი, რომელნიც ბედმა განაპირთ არგუნა წილად. მათი მყუდრო ცხოვრება ხომ დარღვეულია და დარღვეული, მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ირყვნებიან მცხოვრებლები ზნეობრივ, ფუჭდებიან გონებრივ და თანაც მათი სიცოცხლე ყოველ წამში ბეწვზე ჰკიდია: არ იცი, ის „სულელი ტყვია“ როდის მოხვდებათ შუბლში და წუთისოფელს გამოასალმებთ. დღე ისე არ გავა, რომ არ გაიგონ—ქალაქის განაპირზე ჩხუბი მოხდა, კაცი დაჩეხეს, მოჰკლესო და სხ. კაცს თავისუფლად ვერ გაუვლია ამ ადგილებზე. გაივლი თუ არა, მთვრალი ძმა-ბიჭები მაშინვე მიგიწვევენ სუფრაზე. თუ მიდი და მათ აჰყევი, ღვინოში ჩაგახრჩობენ; თუ მათს ჭკუაზედ არ გაიარე და—იქნება სიცოცხლესაც გამოგასალმონ; თუ მიწვევას ყურადღება არ მიაქციე და შენს გზას გაუდექი—დანძღვა-გინებასა და ხან ტყვიასაც დაგადევნებენ უკან. ერთის სიტყვით, რომელ გზასაც დაადგები, ერთი ზღაპრის არ იყოს, „ორივე უარესია“.

ამ დღეებში ერთი ექიმი, რომელიც ღამე ავადმყოფის სანახავად წაეყვანათ, კინაღამ მსხვერპლი შეიქნა ერთი ასეთი ტყვიისა, რომელმაც „ზე კაკალ ყურთან გამირბინაო“. „ღმერთმა დამიფაროს შემდეგში იქით ღამით კი არა, დღისითაც წასვლაო“, ამბობს ის: „სხვის მოსარჩენად მივდიოდი და კინაღამ თვითონაც სიცოცხლეს გამოვეთხოვეო“.

მერე რა დააშავეს ამ ადგილების მცხოვრებლებმა, რომ ასე უპატრონოდ არიან დატოვებულნი, რომ თითქმის ექიმსაც კი ეშინია მათთან მისვლა?—მხოლოდ ის, რომ, სიღარიბის გამო, ქალაქის ცენტრში ვერ გამოუჭიმავთ ორ-სამ სართულიანი სახლები, მეტი არაფერი! ქალაქის პოლიცია ამ ადგილებს ყურადღებას არ აქცევს,—ქალაქის ხაზს გარეთააო;—სამაზრო პოლიცია კი მხოლოდ მაშინ ნახულობს მათ, როდესაც მოახსენებენ, კაცი დაჩეხეს ან მოჰკლესო, რომ ოქმი შეადგინოს და „დადგენილ წესისამებრ“ გადასცეს სასამართლოს, რომელიც ერთს დაკარგულს კაცს მეორესაც თან მიაყოლებს. ჩემის ფიქრით, ძლიერ საჭიროა, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და, თუ სხვა ღონისძიება არაა, ქალაქის ხაზი მაინც გააგრძელოს, რომელიც ადამის დროსაა დადებული, და ეს უპატრონოდ მიგდებული განაპირებიც ქალაქს შეუერთოს. იქნება მაშინ მაინც არა სთქვას ჩვენმა „ფხიზელმა“ პოლიციამ, ეს ადგილები „ხერტას“ გარეთააო და ყურადღება მიაქციოს იქაურს უწესობას.

დონ-ვალიანი

უცხოეთის წვრილი ამბები

მზარეულები. საინტერესოა, კაცმა იცოდეს, რა ყოფაში არიან ფრანგი მზარეულები საზღვარგარედ.

ინგლისში ისინი ჯამაგირს იღებენ თვეში 148 მანეთიდან მოკიდებული 259 მანეთამდე. მაგრამ ეს ჯამაგირი არაფრად არ უნდა ჩაითვალოს იმ შემოსავალთან შედარებით, რომელიც იმათა აქვთ თავისი თანამდებობის წყალობით.

გარდა იმ დაწესებული პროცენტებისა, რომელსაც მზარეულები იღებენ სურსათის გამსყო-

დგელთაგან. იმათ უფრო დიდი შემოსავალი აქვთ იქიდან, რომ, რაც სადილს გადარჩება, იმ სანოვაგეს ჰყიდიან.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, იმათი შემოსავალი დიპლომატების შემოსავალს აღემატება. ჩვენ აქ იმისთანა მზარეულებზე არა ვლაპარაკობთ, რომელნიც განთქმულნი არიან თავის ხელოვნებით. და რა შემოსავალი აქვთ განთქმულ მზარეულებს, შემდეგიდან დავინახავთ.

როტშილდის უფროსმა ლონდონელმა მზარეულმა ესლახან პარიზში ერთი სასტუმრო იყიდა, რომელშიაც ნახევარი მილიონი მისცა.

ეს მზარეული როტშილდისაგან წელიწადში 50,000 ფრანკს (18,500 მან.) შოულობდა და ესეც იმიტომ, რომ მეტის მეტი პატიოსანი კაცი იყო.

ამის წინა მოადგილემ, რომელსაც უფრო სხვანაირად მიჰყავდა საქმე, იმდენი შეიძინა, რომ გაიჩინა სწორედ ისეთი დიდებული ცხენები და ეკიპაჟები, როგორც იმის ბატონს ჰყავს. ამაზე კი, ცოტა არ იყოს, გაწყრა ბატონი როტშილდი და დაიბარა თავისი მზარეული.

— ჩემო მეგობარო,—უთხრა როტშილდმა,— მე იმის საწინააღმდეგო არა მაქვს რა, რომ თქვენ ჩემთან სამსახურში თქვენი საქმეები მოაწყეთ, რადგანაც ჩემი შეძლება ამ ხარჯების ნებას მაძლევს, მაგრამ იმას კი ვერ მოვითმენ, რომ სასაცილოდ ამიგდოთ და ამიტომ ინებეთ და ეხლავე თქვენი თანამდებობა სხვას გარდაეცით.

ამ გვარად ამაყი მზარეული უცბად გააბძანეს სამსახურიდან.

* *

მოსამსახურეების საჩუქრები სხვა-და-სხვა სასახლეებში. ფრანკფურტის გაზეთი იუწყება საინტერესო ცნობებს, სად რამდენ საჩუქარს აძლევენ მოსამსახურეებს.

ეხლა ხან ესპანიის საგანგებო ელჩი, ჰერცოგი სესტო, უნდა წასულიყო ესპანიის სასახლიდან სასახლის ეტლით ელისეის სასახლეში, რომ გარდაეცა პრეზიდენტ ლუბესთვის ოქროს მატყლის ორდენი, რომელიც იმას ესპანიის მეფემ ალფონს მეცამეტემ მიუძღვნა. ელჩს ეკიპაჟი მოართვა პრეზიდენტის მდივანმა და შემდეგ ანგარიში წარუდგინა 600 ფრანკი. ჰერცოგმა ფული დაუთვალა, მხოლოდ ხელწერილი მოსთხოვა ფულის მიღებაში.

როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, გაზეთებმა დიდი უკმაყოფილება გამოაცხადეს, რაზედაც, ვისაც ეს შეეხებოდა, უპასუხეს, რომ ამისთანა ჩვეულება ყოველ სასახლეში არისო. ყოველმა ელჩმა უნდა აჩუქოს ფული მეეტლეს, მოსამსახურებს და კურიერს, რომლებიც ეახლებიან იმას პრეზიდენტის სახლში და ესპანიის ელჩის შემთხვევა პირველი არ არის.

მაკ-მაჰონი, თავის პრეზიდენტობის დროს, თავის ჯიბიდან აძლევდა ხოლმე საჩუქრებს, ასე რომ ამ საჩუქრებზე წავიდა თითქმის იმისი ქონების ნახევარი.

ეს საჩუქრები და „ფეშქაშები“ მოგონილია ოსმალეთში. იქ ისე ვერაფერ საქმეს ვერ გაარიგებ, რომ ფეშქაში არ მისცე.

ერთმა ინგლისელმა ელჩმა უბძანა, ტარიფი შეედგინათ, ვის რამდენი უნდა მიეცეს. როდესაც იმასთან რომელიმე წარჩინებული ფაშა მოვიდოდა, იმას ერთ ხელში ტარიფი ეჭირა და მეორეთი ოქროს უთვლიდა, რამდენიც ერგებოდა ამ ტარიფით.

ეხლანდელმა საფრანგეთის ელჩმა კონსტანმა შეუკვეთა რამდენიმე პატარა ანდრიანტი. და ეხლა კონსტანტინეპოლში არ მოიძებნება იმისთანა მინისტრი, ფაშა და ბეგი, რომ ეს ანდრიანტები არა ჰქონდეს. ერთხელ კონსტანთან, რომელიც გამოცდილ კაცად არის ცნობილი, ერთი ფაშა მოვიდა და შემდეგი უთხრა:

ფაშა. დიდად გმადლობთ, ბატონო კონსტან, მშვენიერის საჩუქრისათვის, რომელიც თქვენ მე გამომიგზავნეთ.

კონსტანი. დაბლა უკრავს თავს ფაშას.

ფაშა. მშვენიერი ანდრიანტია, მაგრამ შიგნიდან ფუღუროა, ცარიელი.

კონსტანი. კიდევ დაბლა უკრავს თავს.

ფაშა. იმ ფუღუროში მე ვერაფერი ვერ ვიპოვე.

კონსტანმა არ იცის, რა უპასუხოს, ისე გაკვირვებულია ამ სიტყვით.

ფაშა ცბიერად იღიმება, რომ აგრძნობინოს, კონსტანი კი ისე აჩვენებს თავს, რომ არაფერი არ ესმის. ამის გამო ადგება ფაშა და კუდ-ამოძუებული გასწევს სახლისკენ.

* *

ამერიკელების ლიტერატურული გემოვნება. ნიუ-იორკის ერთს დიდს გამომცემელ ფირმას აზრადა აქვს, მოკლე ხანში გამოსცეს დიდებული გამოცემა, რომლის მაგვარიც ჯერ არაფერი არა ყოფილა საგამომცემლო საქმეში.

ეს დიდებული გამოცემა გამოვა 54 ცალად, რომელთაგან ერთი წიგნი ეღირება ჩვენებურის ფულით 400,000 მანეთი, სამი წიგნი—თითო 270,000 მან. და 50—თითო 100,000 მანეთი. ასზე მეტი გამოჩენილი გერმანელი, ფრანკი, ინგლისელი და ამერიკელი მხატვრები იღებენ მონაწილეობას ამ გამოცემისთვის სურათების დამზადებაში. ეს თხზულება გამოვა ასს ტომად.

ამ გამოცემის ხარჯი უკვე შეივსო ხელის მოწერით შეგროვებულის ფულით, ხოლო 400,000 მანეთიანი წიგნის მუშტარი ჯერ არ გამოჩენილა.

ახლა ვინ არის ეს მწერალი, რომლის თხზულებაც ასე დიდებულად უნდა გამოსცენ ამერიკაში? ეს არის ფრანგი, რომლის თხზულებანიც მოდებულია რამდენიმე ათასი წიგნებით. მაშ იქნება ვინმე ფრანგი კლასიკია, ან ვიქტორ ჰუგო ანუ დიუმა—მამა? არა, ეს არის მხოლოდ პოლ დე-კოკი, რომლის თხზულებანიც მისს მერი შერიდან ფორდმა გადასთარგმნა ინგლისურს ენაზე.

* *

რა ღირს ჩიტის ბუდე. გერმანიის პირუტყვთა მფარველი საზოგადოების ჟურნალს გამოუანგარიშია, რა ჯდება ჩიტის ბუდე, რომელსაც პატარა ბავშვები უწყალოდ ფუშავენ ხოლმე. ვსთქვათ, ამ ბუდეში რამე ჩიტის: ლობემძვრალასი, ტოროლასი, მერცხლისა ანუ ბელურასი ხუთი ბარტყია. თითო ბარტყს უნდება დღეში შუა რიცხვით 50 ჭია ანუ სხვა მწერი, რომლებიც მშობლებს შვილებისთვის მოაქვთ. დღეში ერთს ბუდეს მოუნდება 250 ჭია. მშობლები ბარტყებს აჭმევენ ოთხიდან ხუთ კვირის განმავლობაში, ვსთქვათ, 30 დღე; ამ დროს განმავლობაში ბუდეში მცხოვრებნი შესჭამენ, მაშასადამე, 7,500 ჭიას. ყოველი ჭია და მატლი ყოველ დღე იმდენსა სჭამს, რამდენსაც თითონ იწონს, ვიდრე ჭია წამოიზრდება, ისა სჭამს დღეში, ვსთქვათ, მარტო ერთს ყვავილს, მაშასადამე ოცდა ათ დღეში—ოც და ათს ყვავილს, ხოლო 7,500 ჭია შესჭამს 225,000 ყვავილს, რომლებიც ნაყოფად უნდა გადაქცეულიყვნენ. ამ გვარად ერთს ჩიტის ბუდეს შეუძლიან დაღუპვას გადაარჩინოს 225,000 ყვავილი ვაშლისა, მსხლისა, ქლიავისა ანუ ალუბლისა, რომლებიდანაც ნაყოფი გამოდის.

აბა, ბავშვებო, დაფიქრდით, რამდენ გემრიელ ხილსა ჰკარგავთ, როდესაც თქვენის ცელქობისა და დაუდევარობის გამო ჩიტის ბუდესა შლით?

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 ივლისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,80
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	353 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287¾ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88⅞ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა‘ სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—24)

პირველ ენკენისთვიდან მიმდინარე წლისა, ე. ი. 1902 წ. ქ. **თელავში** დარია შიუკაშვილის სახლებში, რომელიც იმყოფება სასამართლოს ახლო, ვხსნი ქალთა და ვაჟთა მოსამზადებლად სკოლას, რომელთანაც იქნება გამართული პანსიონი **მხოლოდ ქალთათვის.**

თელავის ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი ნინო მიხეილის ასული **შიუკაშვილი**

(ნ. 3—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ლ. უაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—ლ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
კაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
.1 მზარეული—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ზივ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

ვერის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754 (წ.).

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო), (0—3)

Открыта подписка

на ежедневную (не исключая понедѣльниковъ) газету политической и общественной жизни и литературы

„Бакинскія Извѣстія“

ПРОГРАММА ГАЗЕТЫ: Дѣйствія и распоряженія Правительства; Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ. Хроника мѣстная, общая и иностранная. Корреспонденціи. Обзоръ печати. Фельетоны; Судебный отдѣлъ. Нефтяное и горное дѣло. Смѣсь; Справочный указатель.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: По 1-ое января 1903 г. съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города—3 р., на 3 мѣсяца—2 р. и на одинъ мѣсяцъ—1 руб.

ТАКСА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к.. а позади текста—7 к. Многократныя объявленія по соглашенію.

Редакція и контора изданія: пассажъ Шагиданова.

Первый номеръ выйдетъ въ свѣтъ четвертаго августа.

Редакторъ-издатель **Н. А. Гриневъ.**

(შ. 3—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 29 Іюля, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).